

## შეტყობინება მეცხრე

წავიკითხოთ იგავების წიგნი ლოცვის სულით, რომ მივიღოთ ამ წიგნიდან „თვითნაბადი“ და „მარგალიტები“, რათა განმტკიცდეს ჩვენი ქრისტესკენ სწრაფვის სიცოცხლე ღმერთის სახლმშენებლობის აღსრულებისათვის

ადგილები წერილიდან: იგავ. 1:1-7; ეფეს. 4:22-24; 6:17-18

- I. იგავები არის ბრძენების გამონათქვამების კრებული (1:1-7); ამ წიგნში ხაზგასმულია სიბრძნე, რომელსაც ადამიანი ღებულობს ღმერთისაგან ღმერთთან შეხების მეშვეობით (შდრ. 2 ნეშ. 1:10-12; კოლ. 2:2-3; 1:28-29), და ის ასწავლის ადამიანს სათანადო ქცევას და ხასიათის განვითარებას მის ადამიანურ ცხოვრებაში (შდრ. ფილიპ. 1:20; გალ. 6:7-8; 5:22-26):
- ა. ვინაიდან იგავები შეაგროვა ძირითადად ორმა მეფემ (სოლომონმა და ეზეკიამ) კანონის საუკუნეში, იგავების წიგნი შეიძლება განვიხილოთ როგორც კანონის დამატება.
  - ბ. კანონი არის ღმერთის გამოხატულება; ამ სახით ის მოითხოვს, რომ ღმერთის ხალხმა დაიცვას ის იმ მიზნით, რომ გახდეს ღმერთის კვლავწარმოქმნა მისი გამოხატულებისა და განდიდებისათვის – შდრ. რომ. 8:4.
  - გ. იგავები, კანონის დამატება, არიგებს ადამიანებს იმ საკითხში თუ როგორ მოიქცნენ და როგორ ააშენონ თავიანთი თავი ღმერთის თვისებების თანახმად, ანუ იმის თანახმად, თუ როგორია ღმერთი.
- II. იგავების წიგნს აქვს განსაკუთრებული ხასიათი: ის წარმოგვიდგენს ჩვენ სიბრძნის სიტყვებს, წარმოთქმულს მრავალი ძველი დროის ბრძენის მიერ; ყველა, ვინც კითხულობს მას თვლის, რომ ეს კარგია; მაგრამ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ის თუ რა გახდება ჩვენთვის იგავები, დამოკიდებულია იმაზე, როგორი პიროვნება ვართ ჩვენ და როგორ ვღებულობთ ჩვენ მათ:
- ა. თუ ჩვენ ვართ ეთიკური ადამიანები, ძლიერი გონებით და გვსურს, რომ ვიყოთ სრულყოფილი როგორც ნამდვილი ზნეობრივი ადამიანები, მაშინ, ეჭვგარეშეა, ეს წიგნი დაგვეხმარება ჩვენ, რომ მივალწიოთ წარმატებას ჩვენს მისწრაფებაში სრულყოფისკენ; მაგრამ ის ვერ დაგვეხმარება, რომ გავხდეთ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთ სულში ღმერთის სულის თანახმად (2 ტიმ. 4:22; რომ. 1:9; 2:29; 7:6; 8:4-6, 9-11, 16; 1 კორ. 16:18; 2 კორ. 2:13-14; ფილიპ. 3:3; გალ. 5:15-17, 22-25; 6:18; ეფეს. 5:18; 6:18):
    - 1. იობი ძველ აღთქმაში იყო დაკმაყოფილებული თავისი უბიწოებით, თავისი სწრაფვით ადამიანური სრულყოფისაკენ, მაგრამ ეს არ იყო ის, რაც უნდოდა ღმერთს მისგან; პირიქით, ამან შეცვალა ის, რაც უნდოდა მისგან ღმერთს, და ის გახდა ღმერთის მტერი, ხელს უშლიდა იობს, ადამიანს, შექმნილს ღმერთის მიერ, შეესრულებინა ღმერთის ჩანაფიქრი.
    - 2. ღმერთის ჩანაფიქრი იყო ის, რომ იობს მოეპოვებინა ღმერთი მისი განდიდებისათვის, მისი გამოხატულებისათვის; უმაღლესი მსახურება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია აღმოვუჩინოთ ღმერთს, – არის მოვიპოვოთ ღმერთი ყველაზე სრულად, ავივსოთ ღმერთით, რათა გამოვხატოთ

ღმერთი მისი დიდებისათვის – ფილიპ. 3:7-8, 12; ესაია 43:7; 1 კორ. 6:20; 10:31; შდრ. იოანე 17:1.

3. ღმერთის ჩანაფიქრი ადამიანის შექმნისას არის ის, რომ ადამიანმა მოიპოვოს ღმერთი და აივსოს ღმერთით, გახდეს მისი გამოხატულება, და არა ადამიანური სრულყოფილების გამოხატულება; ამიტომ ღმერთმა ძირს დაამხო იობის წარმატებები ადამიანურ სრულყოფილებაში; შემდეგ ღმერთი მოვიდა, რომ გაეხსნა თავისი თავი იობისათვის, მიუთითა, რომ სწორედ თვით ღმერთს უნდა ესწრაფოს იობი, რომ სწორედ ის უნდა მოიპოვოს და გამოხატოს – იობი 42:1-6; 10:13; ეფეს. 3:9; ფილიპ. 3:14; 2 კორ. 3:18; 4:16-18.
- ბ. როდესაც ჩვენ მივდივართ იგავებთან, ჩვენ უნდა შევებრუნდეთ გონებიდან სულისკენ ღოცვის მეშვეობით ჩვენს სულში (ეფეს. 6:18; ლუკა 18:1; კოლ. 4:2); თუ ჩვენ მივალთ იგავებთან ამგვარად, ჩვენ შევეხებით სიტყვას ახალი კაცით და ჩვენ ვიცხოვრებთ არა ჩვენი ბუნებრივი ადამიანით, ჩვენი ძველი კაცით და ჩვენი „მე“-თი, არამედ უფალ იესოთი, რომელიც არის ჩვენი სიცოცხლე და პიროვნება, მცხოვრები ჩვენს სულში (2 ტიმ. 4:22; იოანე 6:57, 63; იერ. 15:16).
- გ. ჩვენ უნდა უარყოთ ჩვენი „მეს“ განვითარება, მსჯავრი დავდოთ ჩვენი ბუნებრივი ადამიანის აშენებას ძველ ქმნილებაში (შდრ. მათე 16:24; რომ. 6:6; გალ. 2:20) და მივიდეთ იგავებთან, როგორც ხელახლაშობილი ადამიანი ახალ ქმნილებაში (ეფეს. 4:22-24; 2 კორ. 4:16), ჩვენი სულის ვარჯიშით ღმერთ სულთან ერთად სიტყვასთან შეხებისათვის ღოცვის სულში, რათა სიტყვა იგავებში გახდეს ჩვენთვის სული და სიცოცხლე (იოანე 6:63; მათე 4:4; ეფეს. 6:17-18).
- დ. ჩვენ, ახალი აღთქმისეულ მორწმუნეებს, უნდა გვწამდეს, რომ იგავები არის ნაწილი წმიდა სიტყვის ღმერთის წმიდა წერილებში; მეფსალმუნე ამბობს: „ხელებს აღვაპყრობ შენი მცნებებისკენ, რომლებიც მიყვარს“ (ფსალ. 119:48); ხელების აპყრობა ღმერთის სიტყვისკენ – ნიშნავს იმის ჩვენებას, რომ ჩვენ თბილად და სიხარულით ვღებულობთ მას და ვეუბნებით მას „ამინ“ (ნემ. 8:5-6).
- ე. იგავები არის ღმერთის სუნთქვა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩავისუნთქოთ, რათა მივიღოთ ღმერთისაგან სასიცოცხლო შეწევნა; ბიბლია არის ღმერთის ამოსუნთქვა; როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ნებისმიერ მუხლს ყოველგვარი ღოცვის მეშვეობით, ეს ღოცვა-კითხვა ხდება ჩვენი ჩასუნთქვა ღმერთის სუნთქვისა – 2 ტიმ. 3:16; ეფეს. 6:17-18:
  1. ყველა სიტყვა იგავებში არის ღმერთის სუნთქვა, რომელიც მთლიანად განსხეულებულია ქრისტეში; იგავების კითხვისას, ჩვენ უნდა ჩავისუნთქოთ ყველაფერი, რაც ამოსუნთქა ღმერთმა, ყველაფერი, რაც გამოვიდა მისგან როგორც სუნთქვა; თუ ჩვენ ჩავისუნთქვით ღვთაებრივ სუნთქვას იგავებში, მაშინ, რაც უფრო მეტად მივიღებთ მოლაპარაკე ღმერთის სუნთქვას, უფრო მეტად დავტკებებით ქრისტეთი – 2 ტიმ. 3:16; იოანე 20:22.

2. როგორც ისრაელის შვილებს ჰქონდათ მიცემული ბრძანება, რომ დაეცვათ აღთქმები, დებულებები და დადგენილებები, ასევე ჩვენ დღეს უნდა „დავიცვათ ქრისტე“; თუ ჩვენ მივიღებთ ქრისტეს, „დავიცვათ ქრისტეს“ და ჩავეჭიდებით ქრისტეს, ჩვენ მოვიპოვებთ მას, დაგტკბებით მისით და ვიცხოვრებთ მას; ჩვენ უნდა გვიყვარდეს ქრისტე, „დავიცვათ ქრისტე“, ვასწავლოთ ქრისტე, „შევიმოსოთ ქრისტე“ და „დავწეროთ ქრისტე“ – რჯლ. 6:1, 5-9; ფილიპ. 3:9; 1:19-21ა.
3. ვინაიდან წერილები ამოსუნთქულია ღმერთის მიერ, გამოვიდა მისგან როგორც სუნთქვა (2 ტიმ. 3:16), ჩვენ უნდა ჩავისუნთქოთ წერილი, მივიღოთ ღმერთის სიტყვა, მათ შორის იგაგებო, ყოველგვარი ლოცვის მეშვეობით (ეფეს. 6:17-19); როდესაც ჩვენ ვასწავლით ბიბლიას, ჩვენ უნდა ამოვისუნთქოთ ღმერთი ადამიანებში.
- ვ. ჩვენ უნდა წავიკითხოთ იგაგებო, ავიესოთ ღმერთის სისავსით ჩვენს სულში (ეფეს. 5:18-19; 3:19); გარდა ამისა, ჩვენ უნდა წავიკითხოთ იგაგებო ახალი აღთქმის სიცოცხლის სულში (რომ. 8:2) ჩვენი ხელახლაშობილი სულის დახმარებით (მუხ. 16), შევურწყათ ლოცვა კითხვას (ეფეს. 6:17-18), რათა შევურწყათ სიტყვები სულსა და სიცოცხლეს (შდრ. იოანე 6:63).

**III. ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, დიდი იგაგებო, მსგავსი „თვითნაბადისა“ და პატარა იგაგებო, მსგავსი „მარგალიტებისა“, არის არა იმისათვის, რომ ჩვენ ავაშენოთ ჩვენი ძველი კაცი; პირიქით, ისინი აუცილებელია ჩვენი ახალი კაცის ასაშენებლად იმ მიზნით, რომ გაამაგროს ჩვენი ქრისტესკენ სწრაფვის სიცოცხლე ღმერთის სახლმშენებლობის აღსრულებისათვის – წარმოქმნისა და აშენებისათვის ქრისტეს სხეულისა, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში როგორც ღმერთის გულის სურვილში და მის საბოლოო მიზანში.**

- ა. ჩვენ უნდა მივიღოთ ღმერთის ცოცხალი და მოქმედი სიტყვა მლოცველი სულით, რათა ჩვენ შევძლოთ ავაშენოთ ჩვენი ახალი კაცი და რომ ჩვენ შეგვეძლოს განვასხვავოთ ჩვენი სული ჩვენი სამშინველისაგან – ებრ. 4:12:
  1. მტრის სტრატეგია არის ის, რომ ყოველთვის შეურიოს ჩვენი სული ჩვენს სამშინველთან; ჩვენი უდიდესი პრობლემა არის ჩვენი მინარევები; რაც უფრო უკეთესად გვეცოდინება ღმერთი მისი სინათლით ავსების, მისი თანდასწრების მეშვეობით, უფრო მეტად დავაფასებთ არა ძალას, არამედ სისუფთავეს – მათე 5:8; ლუკა 11:34-36; ფსალ. 119:105, 130.
  2. ასეთი მინარევები იწმინდება წმიდა სულის გამოცხადების მეშვეობით; სამშინველისა და სულის გაყოფა ხდება მაშინ, როდესაც ღმერთის სიტყვა ბრწყინავს ჩვენზე, ანათებს ჩვენ შიგნით, რათა გაგვიხსნას ჩვენი გულის აზრები და განზრახვები – 36:9; 1 პეტ. 2:9.
  3. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ ღმერთის ნათების ქვეშ, გამომდინარე მისი სიტყვიდან, კვდება სინათლის მეშვეობით; უდიდესი რამ ქრისტიანულ განცდაში არის მომაკვდინებელი ქმედება, რომელიც მოდის სინათლიდან; სამშინველისა და სულის გაყოფა ხდება ნათების მეშვეობით – ესაია 6:1-8; საქმე. 9:1-4; 13:9-10.

4. გამოცხადება არის ის, რომ ჩვენ ვხედავთ იმას, რაცას ხედავს ღმერთი; ის შედგება იმისგან, რომ ღმერთი გვიხელს თვალებს, რათა ჩვენ დავინახოთ ჩვენი განზრახვები და სიღრმისეული აზრები ჩვენს არსებაში ისე, როგორც მათ ხედავს ღმერთი; როგორც კი ღმერთი ამხელს ჩვენს აზრებს და გვიჩვენებს ჩვენი გულის ზრახვებს, ჩვენი სამშინველი და ჩვენი სული იყოფა, შორდება ერთმანეთს.
  5. ლოცვა-კითხვის გარეშე იგავების წიგნი არის უბრალოდ იგავების კრებული, მაგრამ როდესაც ჩვენ ვკითხულობთ იგავებს და ვლოცულობთ, ანუ როდესაც ჩვენ ლოცვით ვკითხულობთ იგავებს, ჩვენი ლოცვა-კითხვა გადააქცევს ყველა იგავს სულისა და სიცოცხლის სიტყვებად ჩვენთვის.
- ბ. ჩვენ უნდა მივიდეთ იგავებთან არა როგორც ადამიანი, რომელიც კონცენტრირებულია ასოს დაცვაზე, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც ეძებს ღმერთს; ჩვენ უნდა ვეძებოთ ღმერთი მთელი ჩვენი გულით, ვეძებოთ ღმერთის კეთილგანწყობა, ვევედროთ, რომ გვქონდეს მისი მზერა, ვთხოვოთ ღმერთს რომ მისმა სახემ დაანათოს ჩვენზე და ვიაროთ ღმერთის თანდასწრებაში – ფსალ. 27:8; 105:4; 119:2, 10, 58, 135, 168; 2 კორ. 3:6.

**IV. ეფეს. 4:22-24-ში ნათლად არის ნათქვამი, რომ მორწმუნეს ქრისტეში გააჩნია ორი ადამიანი – ძველი კაცი და ახალი კაცი; ძველი კაცი დაკავშირებულია ადამთან და წარმოიქმნა ჩვენი ბუნებრივი დაბადების წყალობით, ხოლო ახალი კაცი დაკავშირებულია ქრისტესთან და წარმოიქმნა ახალი დაბადების, ხელახლაშობის, წყალობით; ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ცხოვრებით, რომელშიც ჩვენ ვიხდით ძველ კაცს და ვიმოსებით ახალი კაცით; ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, იგავები უნდა გამოვიყენოთ არა იმისათვის, რომ განვაგითაროთ და ავაშენოთ ჩვენი ძველი კაცი, არამედ იმისათვის, რომ განვაგითაროთ და ავაშენოთ ჩვენი ხელახლაშობილი ახალი კაცი:**

- ა. იმისათვის, რომ ჩავწვდეთ იგავების სიღრმისეულ მნიშვნელობას ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად, ჩვენ უნდა ვიყოთ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ახალი ქმნილების თანახმად (გალ. 6:15); ძველი ქმნილება არის ჩვენი ძველი კაცი ადამში (ეფეს. 4:22), ჩვენი ბუნებრივი არსება დაბადების თანახმად, რომელსაც არა აქვს ღმერთის სიცოცხლე და ღვთაებრივი ბუნება; ახალი ქმნილება არის ახალი კაცი ქრისტეში (მუხ. 24), ჩვენი არსება, რომელიც არის ხელახლაშობილი სულით (იოანე 3:6), რომელშიც ჩანერგილია ღმერთის სიცოცხლე და ღვთაებრივი ბუნება (მუხ. 36; 2 პეტ. 1:4); ახალი ქმნილება შედგება ქრისტესაგან (კოლ. 3:10-11) და გახდა ახალი შემადგენლობა.
- ბ. ჩვენს სულში არის საოცარი, შესანიშნავი, გამზადებული, ყოვლისმომცველი, შვიდმაგად გაძლიერებული, მაცოცხლებელი სული (ფილიპ. 1:19; გამოცხ. 4:5; 5:6; 1 კორ. 15:45; 2 კორ. 3:6; რომ. 8:16); თუ ჩვენ ვავარჯიშებთ ჩვენს სულს, რათა შევეხოთ ქრისტეს როგორც ღმერთის ცოცხალ სიტყვას (იოანე 1:1; 5:39-40) ღმერთის დაწერილ სიტყვაში (10:35), ის გახდება ღმერთის გამოყენებადი სიტყვა როგორც სული ჩვენთვის (ეფეს. 6:17-18); მაშინ ნებისმიერი სიტყვის

წაკითხვა ბიბლიაში გახდება ჩვენთვის სული და სიცოცხლე, რათა გაგვაცოცხლოს ჩვენ (იოანე 6:63).

- გ. ჩვენ უნდა გადავაქციოთ ბიბლია იმ წიგნიდან, რომელიც, ერთი შეხედვით, გვასწავლის ჩვენ, რომ განვაფიქროთ ჩვენი „მე“ და ავაშენოთ ჩვენი ბუნებრივი ადამიანი წიგნად, რომელიც სინამდვილეში სავსეა სინათლით, სიცოცხლით, სულითა და სულიერი საკვებით, მივიღოთ ის სულში და ღოცვის ატმოსფეროში; ეს დაამსხვრევს ჩვენს „მეს“ და ანგრევს ჩვენს ბუნებრივ ადამიანს და მოგვამარაგებს ჩვენ სამერთიანი ღმერთის დასრულებული სულით.
- V. ჩვენ უნდა ვიყოთ ადამიანები, რომლებსაც უყვართ უფალი და ესწრაფვიან ქრისტეს, და არა საკუთარ სრულყოფილებას (შდრ. ფილიპ. 3:3-14) და რომლებსაც უყვართ უფლის სიტყვა მთელ ბიბლიაში და კითხულობენ მას მლოცველი სულით; ამასთან ერთად ჩვენი მიზანია, ვეძებოთ არა დოქტრინები, ანუ ასოები, არამედ სული და სიცოცხლის სიტყვები (შდრ. იოანე 5:39-40; 2 კორ. 3:6); ჩვენ უნდა წავიკითხოთ იგაგები, მივიღოთ არა რაღაც დახმარება ჩვენი „მეს“ განვითარებაში, არამედ კვება ჩვენი სულისათვის, რათა ვიცხოვროთ ქრისტიანული ცხოვრებით, რომელიც სრულყოფილია ღვთაებრივ სათნოებებში, და წარმოადგენენ ღვთაებრივი თვისებების გამოსატყულებას (გალ. 5:22-23; მათე 5:5-9).